IMAGES: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება



კვლევა მიმოიხილავს საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის დამოკიდებულებებს გენდერულ როლებთან დაკავშირებულ საკითხებზე. IMAGES საქართველოში უკვე მესამედ ტარდება, რაც 2024, 2019 და 2013 წლების მონაცემების შედარების შესაძლებლობას იძლევა.

გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულება

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები ბოლო კვლევის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2019 წელს, რესპონდენტთა 58.7% თვლიდა, რომ საქართველოში გენდერული უთანასწორობა არსებობს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 38.7%-მდე შემცირდა.

2024 წელს **გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეულია**. (2024: ქალი - 50.2%; კაცი - 55%; 2019: ქალი - 30.9%; კაცი - 41.7%; 2013: ქალი - 46.1%, კაცი - 54.9%).

თუკი 2019 წელს მხოლოდ 10.3% თვლიდა, რომ ქალების მიერ უფლებების მოპოვება კაცებისთვის უფლებების წართმევას ნიშნავდა, 2024 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 18.7%-ს მიაღწია. ასევე, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ქალების დასაქმება კაცებისთვის სამუშაო ადგილების წართმევას გულისხმობს (2019 – 7.5%; 2024 – 20.7%).

ცვლილებაა მემკვიდრეობის განაწილების მიმართ დამოკიდებულებებშიც. 2019 წელს უფრო მეტი კაცი უჭერდა მხარს თანაბარ მემკვიდრეობას შვილებისთვის, 2024 წელს კი კაცები ნაკლებად ემხრობიან მშობლების სახლის, მიწის, საოჯახო ბიზნესისა და სხვა ქონების და-ძმაზე თანაბრად განაწილებას (სახლი: 2019 -

60.6%; 2024 - 51.5%. მიწა: 2019 - 66%; 2024 - 55.2%. ბიზნესი: 2019 - 70.3%; 2024 - 55.3%). ამავდროულად, ქალების მხრიდან თანასწორი მემკვიდრეობის მხარდაჭერა გაიზარდა, რაც მიუთითებს ქალების მზარდ ცნობიერებაზე საკუთრების უფლებების მიმართ (სახლი: 2019 - 63.9%; 2024 - 70.4%. მიწა: 2019 - 68.7%; 2024 - 73.5%. ბიზნესი: 2019 - 70%; 2024 - 76.3%).

აღსანიშნავია, რომ **ასაკის ჭრილში** საკითხის განხილვისას ვლინდება, რომ ახალგაზრდები (18-29 წწ.) უფრო მეტად უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას, მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მემკვიდრეობით სხვადასხვა სახის ქონების გოგო და ბიჭ მემკვიდრეს შორის თანაბრად გაყოფა (სახლი- 73.3%; მიწა- 76.9%; ბიზნესი- 77.3%). ამასთანავე, ახალგაზრდების უმეტესობა (58.5%) არ ეთანხმება შეხედულებას იმის შესახებ, რომ საბოლოო სიტყვა ოჯახში გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კაცს უნდა ეკუთვნოდეს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტები ნაკლებად დოგმატურად უყურებენ ქალის მოვალეობების საკითხს და არ იზიარებენ (59.1%) დებულებას იმის თაობაზე, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული კარიერის განვითარება.

ქალი და ლიდერობა

2019 წელთან შედარებით, **გაიზარდა მხარდაჭერა იმ შეხედულების მიმართ, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან.** 2019 წელს 48.5% თვლიდა, რომ კაცები უკეთ მართავენ ქვეყანას, 2024 წელს კი ამ მაჩვენებელმა 58%-მდე მოიმატა. მიუხედავად ამისა, **პოლიტიკაში გენდერული კვოტების მხარდაჭერა გაიზარდა.** 2019 წელს კაცების 44.4% უჭერდა მხარს გენდერულ კვოტებს, 2024 წელს კი - 54.1%. ასევე, **მოსახლეობის 62.4% მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ქალების ჩართულობა ქვეყნისთვის სასიკეთოა.**

2019 წელთან შედარებით, **გაიზარდა იმ ქალების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ კაცებს და ქალებს კარიერული წინსვლის თანაბარი შანსები აქვთ** (2019 - 49.3%; 2024 - 60%), ხოლო კაცების რაოდენობა, ვინც იზიარებს ამ მოსაზრებას, უცვლელი დარჩა. 2019 წელს ქალების 45.9% და კაცების 40.2% ფიქრობდა, რომ დასაქმების შანსები ორივე სქესისთვის თანაბარი იყო, 2024 წელს კი ეს მაჩვენებელი ქალებს შორის - 56.4%-მდე, კაცებს შორის კი 47%-მდე გაიზარდა.

შეიცვალა დამოკიდებულება ბიზნესში ლიდერობის უნარებზე. 2019 წელს კაცების 41.7% თვლიდა, რომ ბიზნესში კაცი უკეთესი ლიდერია, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 51%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ქალების თავდაჯერებულობა თავიანთ ლიდერულ უნარებში გაიზარდა - 2019 წელს 56.2% თვლიდა, რომ ქალი და კაცი თანაბრად კარგ ლიდერებად შეიძლება განიხილებოდნენ, 2024 წელს კი ეს მაჩვენებელი 62.2% გახდა.

ოჯახური დინამიკა

ოჯახური ვალდებულებები კვლავ ქალის პასუხისმგებლობად აღიქმება. 2013 წელს რესპონდენტთა 88.5% თვლიდა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვა იყო. 2019 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა 47.9%-მდე, მაგრამ 2024 წელს ისევ გაიზარდა – 57.5%-მდე, რაც ტრადიციული შეხედულებების დაბრუნებაზე მიუთითებს.

ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების ტენდენცია მეტად პატრიარქალური ხდება. 2019 წელს გამოკითხულთა 49.6% თვლიდა, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 57.2%-მდე გაიზარდა. (2013 - 77.8%).

აუნაზღაურებელი შრომა კვლავ ქალების მხრებზეა. 2019 წელს ქალების საოჯახო საქმიანობებში ჩართულობის მაჩვენებელი შემცირებული იყო, მაგრამ 2024 წელს კვლავ გაიზარდა. კაცების მიერ ბავშვზე ზრუნვაში მონაწილეობის მაჩვენებელიც შემცირდა.

ურთიერთობები და ძალადობა

ქალების 16.6% და კაცების 22.2% თვლის, რომ **ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად.** 2019 წელს ეს მაჩვენებელი ქალებისთვის - 10.1%, ხოლო კაცებისთვის 17.8% იყო.

2019 წელს კაცების 34.1% ფიქრობდა, რომ **ცოლს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ქმარს უარი უთხრას სექსზე,** ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 43.5%-მდე გაიზარდა. ქალებში ამ დებულების მომხრეები მცირედ შემცირებულია (2024 - 23.9%; 2019 - 24.5%).

ამასთან, მოსაზრებას, რომ **კაცმა აუცილებლად უნდა იცოდეს მეუღლის/პარტნიორის მობილურის და სოციალური ქსელის პაროლები,** ეთანხმება მოსახლეობის 39.5%.

კაცების 20.2% (2019 - 32.9%) ფიქრობს, რომ **ზოგ შემთხვევაში ქალებს უნდათ, რომ გააუპატიურონ.** ამდენივეს აზრით, თუ ქალს აუპატიურებენ, ე.ი. მან რაღაც ისეთი გააკეთა, რომ თავი ამ მდგომარეობაში ჩაიგდო. 35.1%-ის აზრით, **თუ ქალი ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება კაცს, ფაქტი გაუპატიურებად ვერ ჩაითვლება.** კაცების 17.1%-ის აზრით კი, ფაქტი გაუპატიურებად ვერ შეფასდება, თუ ქალი ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონეა.

IMAGES: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, 2024

კვლევა IMAGES: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ინიციატივითა და შვედეთის მხარდაჭერით. კვლევა განხორციელდა „სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) მიერ.